



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№138

2017 წლის 8 თებერვალი

ქ.ლაგოდეხი

სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2017 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „სამხედრო ვალდებულებებისა და სახედრო სამსახურის შესახებ“ 22-ე, 24-ე მუხლის და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 3 თებერვლის N 57 „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2017 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ“ დადგენილების შესაბამისად

ვბრძანებ:

1. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 18-დან 27 წლამდე მოქალაქეების /ჭაბუკთა/ საქართველოს სამხედრო ძალებში გაწვევა განხორციელდეს 2017 წლის პირველი თებერვლიდან 2017 წლის 30 ივნისამდე.

2. საქართველოს სამხედრო ძალებში გაწვეულ იქნას 18-დან 27 წლამდე წვევამდელები, რომლებსაც არ აქვთ გადავადება სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან ან განთავისუფლების უფლება.

3. „სამხედრო ვალდებულებებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე შეიქმნას „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2017 წლის საგაზაფხულო გაწვევის გამწვევი კომისია“ დანართის შესაბამისად.

4. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 18-დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები საქართველოს მთავრობის 2017 წლის 3 თებერვლის „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2017 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ“ დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან, ვალდებულნი არიან, გამოცხადდნენ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის „სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურში“, გამოცხადებულ უწყებაში აღნიშნულ დროს.

5. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის „სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახური“ ვალდებულია, სამედიცინო კომისიაზე გამოცხადებული, სამხედრო სამსახურისათვის ვარგისი და გაწვევას დაქვემდებარებული წვევამდელები გადაიყვანოს საქართველოს შემკრებ - გამანაწილებელ პუნქტში წვევამდელთა გამოცხადების გრაფიკის მიხედვით.


6. ეთხოვს შ.ს.ს. ლაგოდეხის რაიონულ სამმართველოს, აღმოუჩინოს დახმარება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის „სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურს“ იმ წვევამდელების მოძებნასა და სამედიცინო კომისიაზე გამოცხადებაში, რომლებიც თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს.

7. დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის „საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის“ უფროსს გაითვალისწინოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სათანადო ფულადი სახსრების გამოყოფა გაწვევის ჩასატარებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად.

8. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

9. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №22.

გამგებზე



კარლო ჯამბურია

სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2017 წლის საგაზაფხულო გაწვევის
გაწვევი კომისიის შემადგენლობა

კომისიის თავმჯდომარე - კარლო ჯამბურია - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი;

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - გელა ლომიძე - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
გამგეობის სამხედრო აღრიცხვის გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის უფროსი;

კომისიის მდივანი - ლელა ნატროშვილი - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის
„სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მთ. სპეციალისტი „მიწერისა
და გაწვევის საკითხებში“;

კომისიის წევრები:

შ.ს.ს ლაგოდეხის რაიონული სამმართველოს წარმომადგენელი - მერაბ კომშიაშვილი;

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის „სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და
მობილიზაციის სამსახურის“ მთ. სპეციალისტი „მიწერისა და გაწვევის საკითხებში“ - დავით
ნარეშელაშვილი;

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის „სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და
მობილიზაციის სამსახურის“ მთ. სპეციალისტი „მიწერისა და გაწვევის საკითხებში“ - გაია
ხვედელიძე

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი:



კარლო ჯამბურია